

ერთის მხრივ, „შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“ (შემდგომში: სკოლა), წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა „მოდვარის“ დირექტორის ხათუნა კერესელიძის სახით და მეორე მხრივ, I კლასის მოსწავლის -----ს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ----- (შემდგომში ”მშობელი“), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. სკოლა იღებს ვალდებულებას მიაწოდოს მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მაღალხარისხიანი სასწავლო პროგრამა და სტანდარტზე მეტად საგანმანათლებლო მომსახურება შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ;
- 1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით 2020-2021 სასწავლო წლიდან სკოლა იღებს მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის“ საგანმანათლებლო პროგრამა „მოდვარის“ I კლასის მოსწავლედ. სკოლა ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად და ჯეროვნად, ხოლო მშობელი უხდის სკოლას შეთანხმებულ თანხას შესრულებული სამუშაოსათვის.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 სკოლა ვალდებულია:

- 2.1.1 მოსწავლეს ასწავლოს თანამედროვე სტანდარტებისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამებით;
- 2.1.2 სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი;
- 2.1.3 სასწავლო პროცესი წარმართოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- 2.1.4 სისტემატიურად აკონტროლოს მოსწავლის აკადემიური მოსწრება და შედეგები;
- 2.1.5 მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს მოსწავლის სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ;
- 2.1.6 ჩაატაროს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები;
- 2.1.7 სასწავლო ოთახები აღჭურვოს სასწავლო ინვენტარით, ტექნიკური და მეთოდური საშუალებებით, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესრულების შესაძლებლობას შექმნის;
- 2.1.8 იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები;
- 2.1.9 უზრუნველყოს მოსწავლე კვებით წინასწარ შედგენილი კვების რაციონით (I-VI კლასებში).

2.2. სკოლას უფლება აქვს:

- 2.2.1 მოსთხოვოს მშობელს წინამდებარე ხელშეკრულების, სკოლის შინაგანაწესის, დებულებებისა და მითითებების განუხრებლად დაცვა;
- 2.2.2 განსაზღვროს სასწავლო პროცესის ორგანიზაციის წესები;
- 2.2.3 ჩამოართვას მოსწავლეს სასწავლო პროცესისათვის არასაჭირო ნივთები (მობილური ტელეფონი, სწავლისათვის შეუსაბამო ტექნიკური საშუალებები და სხვ.) და დაუბრუნოს მშობელს ან მოსწავლეს გაკვეთილის ბოლოს;
- 2.2.4 დაითხოვოს მოსწავლე (დროებით) სკოლის შინაგანაწესის უხეში დარღვევის შემთხვევაში;
- 2.2.5 მოსთხოვოს მშობელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

2.3. მშობელი ვალდებულია:

- 2.3.1 იყოს კორექტული და შეინარჩუნოს კეთილგანწყობა სკოლისა და მისი თანამშრომლების მიმართ;
- 2.3.2 ხელი შეუწყოს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნორმალურ ჩატარებას;
- 2.3.3 მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური კავშირი იქონიოს კლასის დამრიგებელთან და სკოლის ადმინისტრაციასთან;
- 2.3.4 მოსწავლე სკოლაში გამოუმშვას სკოლის შესაფერისად ჩაცმული, სასწავლო ნივთებით აღჭურვილი; ყურადღება მიაქციოს, რომ არ ატაროს არასაჭირო ნივთები (მობილური ტელეფონი, სწავლისათვის შეუსაბამო ტექნიკური საშუალებები და ა.შ.);
- 2.3.5 დაესწროს სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებს და სასკოლო აქტივობებს (მშობელთა კრება, ზეიმები და ა.შ.);
- 2.3.6 ანაზღაუროს ბავშვის მიერ დაზიანებული სასკოლო ინვენტარი ან ტექნიკა სკოლის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე;

- 2.3.7 ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს მოსწავლის კლასის დამრიგებელთან ან/და სკოლის ადმინისტრაციასთან;
- 2.3.8 სკოლის ექიმს/ადმინისტრაციას აცნობოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ქრონიკული დაავადებისა და ალერგიის შესახებ, მათ შორის, საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით.
- 2.3.9 უზრუნველყოს მოსწავლის დასწრება სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამით გათვალისწინებულ კლასგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე;
- 2.3.10 მოსწავლეს არ გააცდენინოს სკოლა არასაპატიო მიზეზით. წინასწარ აცნობოს დამრიგებელს მოსალოდნელი გაცდენის შესახებ;
- 2.3.11 თავი შეიკავოს სხვა მოსწავლის ან სკოლის ნებისმიერი თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან, მისი ღირსების შელახვისაგან, ასევე მოსწავლის თანდასწრებით მასწავლებლის განკითხვისა და მისი ავტორიტეტის შელახვისაგან;
- 2.3.12 დროულად გადაიხადოს სწავლების საფასური.

2.4. მშობელს უფლება აქვს:

- 2.4.1 მოითხოვოს სკოლისგან წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;
- 2.4.2 მოითხოვოს სკოლისაგან სასწავლო პროცესის წარმართვა მაღალკვალიფიციურად;
- 2.4.3 მოითხოვოს სკოლის მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება;
- 2.4.4 მოითხოვოს საგნების მიხედვით მოსწავლის ობიექტური შეფასება;
- 2.4.5 მოსთხოვოს სკოლას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

2.5. მოსწავლე უფლებამოსილია:

- 2.5.1 მიიღოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის განათლება;
- 2.5.2 პედაგოგთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, მიმართოს დირექციას და გამოხატოს თავისი შეხედულება.

2.6. მოსწავლე ვალდებულია:

- 2.6.1 იყოს თავაზიანი, მოკრძალებული და შეასრულოს შინაგანაწესითა და მოსწავლის ქცევის კოდექსით დადგენილი ნორმები;
- 2.6.2 გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას, სასწავლო ლაბორატორიებისა და საკლასო ოთახების აღჭურვილობასა და ინვენტარს.

მუხლი 3. სწავლის ღირებულება და მისი გადახდის წესი

- 3.1. სასწავლო წლის გადასახადის საერთო ღირებულება სახელმწიფო ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერის გარეშე, შეადგენს **5000 (ხუთი ათასი) ლარს**; მომსახურების საფასური I-VI კლასებში ასევე მოიცავს კვების საფასურს.
- 3.2. მშობელი ვალდებულია, 2019-2020 სასწავლო წლის ღირებულება **5000 (ხუთი ათასი) ლარი** გადაიხადოს სამ ნაწილად: თანხის პირველი ნაწილი **500 (ხუთასი) ლარი** გადაიხადოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან **10 (ათი) კალენდარული დღის** ვადაში; თანხის მეორე ნაწილი **2000 (ორიათასი) ლარი** გადაიხადოს **2020 წლის 01 ივნისამდე**, ხოლო თანხის მესამე ნაწილი **2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი** გადაიხადოს **2020 წლის 15 დეკემბერამდე**;
- 3.3. წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული გადასახადის პირველი ნაწილი (**500 (ხუთასი) ლარი**) ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახადების ანგარიშში, ხოლო თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ან მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება შეწყდება, აღნიშნული თანხა (**500 (ხუთასი) ლარის** ოდენობით) დარჩება სკოლას.
- 3.4. მშობელი ვალდებულია, მე-2 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით, ყოველი სასწავლო წლის ღირებულება **5000 (ხუთი ათასი) ლარი** გადაიხადოს ორ ნაწილად: თანხის პირველი ნაწილი: **2500 (ორიათას ხუთასი) ლარი** გადაიხადოს **01 ივნისამდე**, ხოლო თანხის მეორე ნაწილი: **2500 (ორიათას ხუთასი) ლარი** გადაიხადოს **15 დეკემბერამდე**,
- 3.5. სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლის ჩარიცხვიდან პირველი ორი წლის განმავლობაში არ შეცვალოს მომსახურების საფასური მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციისა მომდევნო სასწავლო წლიდან ინფლაციის პირობებში საფასურის მომატება შესაძლებელია მხოლოდ ორი წელიწადში ერთხელ არაუმეტეს საფასურის 10%-ისა.
- 3.6. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახადების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ხელშეკრულებაში მითითებულ სკოლის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის წესები და გაფრთხილების წესი

- 4.1 სკოლიდან მოსწავლის გადაყვანის შემთხვევაში, მშობელი ვალდებულია, ერთი თვით ადრე წერილობით შეატყობინოს სკოლას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

4.2 იმ შემთხვევაში, თუ მშობელმა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში არ გადაიხადა საგანმანათლებლო მომსახურების გადასახადი, მშობელი გაფრთხილებული იქნება წერილობითი შეტყობინებით;

4.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახადის გადახდის დადგენილი ვადების დარღვევის, კერძოდ, 3 (სამი) თვის ვადაგადაცილების შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში, მშობელი ვალდებულია სრულად დაფაროს საგანმანათლებლო მომსახურების გადასახადი მოსწავლის სწავლების პერიოდის პროპორციულად და პირგასამტეხლოს სახით გადაიხადოს აკადემიური წლის გადასახადის 15%.

4.4 ყოველი წლის 01 თებერვლამდე მშობლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მშობელი ვალდებულია სრულად დაფაროს საგანმანათლებლო მომსახურების გადასახადი მოსწავლის სწავლების პერიოდის პროპორციულად და პირგასამტეხლოს სახით გადაიხადოს აკადემიური წლის საერთო ღირებულების 15%. 01 თებერვლის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 5. მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენება

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას მისი და მისი შვილის პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას აცხადებს სკოლამ სასკოლო ან/და არასასკოლო აქტივობების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი შვილის ფოტო, ვიდეო გადაღება/აუდიო ჩაწერა. ამ გზით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშავოს ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიყენოს საჭიროებისამებრ (მათ შორის სარეკლამო მიზნებისათვის), მაგალითად, განათავსოს სოციალურ მედიაში, ინტერნეტ სივრცეში, გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას სკოლის ტერიტორიასა თუ სხვა სივრცეებში, დაამზადოს და გაავრცელოს აღნიშნული პერსონალური მონაცემების შემცველი საინფორმაციო ბროშურები და განახორციელოს სხვა ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება სკოლის ცნობადობის ზრდასა და პოპულარიზაციას.

5.3 მშობელი/წარმომადგენელი ასევე გამოხატავს თანხმობას მოსწავლის პერსონალური მონაცემები ან/და გამოსახულებები (სურათები) გამოყენებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევის/პედაგოგიური კვლევის ანგარიშში.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მოსწავლის მიერ სრული ზოგადი განათლების მიღებამდე;

6.2. წინამდებარე ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით;

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.4. სკოლა უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება:

6.4.1. თუ მშობელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

6.4.2. თუ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში მოსწავლე უხეშად დაარღვევს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს.

6.5 მშობელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ სკოლა დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

6.6 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

6.6.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

6.6.2. სკოლის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე;

6.6.3. კანონმდებლობით დადგენილი წესით სკოლიდან მოსწავლის სტატუსის შეჩერების, გარიცხვის (საშუალო საფეხურზე) ან ამორიცხვის შემთხვევაში.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანისათვის, თუკი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით;

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საკანონმდებლო შეზღუდვები, სახელწიფო გადატრიალება და სხვა);

7.3. ორივე მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ერთმანეთს ფორსმაჟორის მდგომარეობის დაწყებისა და დამთავრების შესახებ;

7.4. მხარე, რომელიც მიუთითებს ფორსმაჟორულ მდგომარეობაზე, ვალდებულია წარმოადგინოს ამის დამამტკიცებელი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს დამადასტურებელი საბუთი.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

8.1. სადავო საკითხები მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების საფუძველზე, მოურიგებლობის შემთხვევაში - სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მხარეები ვთანხმდებიან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ;

9.3. მხარეთა რეკვიზიტებში ცვლილებ(ებ)ის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს;

9.4. მხარეები აცხადებენ რომ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ასევე რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, მოსწავლის ქცევისა კოდექსით, დებულებით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სკოლა	მშობელი
<p>„რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“ მისამართი: ფალიაშვილის 42 საიდენტიფიკაციო კოდი: 404901406 საბანკო რეკვიზიტები: თიბისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის N GE93TB7590536020100003 „რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის“ საგანმანათლებლო პროგრამა „მოდვარის“ დირექტორი</p> <p>ხათუნა კერესელიძე _____</p>	<p>სახელი და გვარი: _____</p> <p>პირადი N-----</p> <p>ფაქტობრივი მისამართი: _____</p> <p>ტელეფონი: _____</p> <p>_____</p>